გულითადი მეგობრობის ვითარებაში

ჰავანა. როგორც ცნობილია, კუბაში ამჟამად სტუმრად იმყოფებიან თბილისის "დინამოს" ფეხბურთელები, რომლებმაც რამდენიმე ამხანაგური საერთაშორისო მატჩი უნდა ჩაატარონ აქ.

თავისუფლებისმოყვარე კუბის მოსახლეობა დიდი ყურადღებას იჩენს ქართველი ფეხბურთელების მიმართ. გუშინ მატჩის დღეს, ჰავანის ცენტრალური სტადიონი "ლათინო ამერიკანო" სავსე იყო მაყურებლებით, რომლებიც გულთბილი ტაშით შეხვდნენ სტუმრებს.

დინამოელთა წინააღმდეგ თამაშობდა კუბის ეროვნული ნაკრები გუნდი. თბილისელებმა სრული უპირატესობით ჩაატარეს მატჩი და მიაღწიეს გამარჯვებას ანგარიშით 8:0.

შეხვედრა მიმდინარეობდა უაღრესად მეგობრულ, გულთბილ ვითარებაში.

18 ნოემბერი, 1961 წ.